

PwC საქართველო საგადასახადო და სამართლებრივი სიახლეები

19 თებერვალი 2019

ცვლილებები საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ N996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში

საქართველოს ფინანსთა მინისტრის N996 ბრძანებას
დაემატა ახალი 61 მუხლი, რომლითაც განისაზღვრა
გადასახადის გადამხდელის კატეგორია.

*გადასახადის
გადამხდელის კატეგორია*

- განხორციელებული ცვლილებებით გადასახადის
გადამხდელები შეიძლება მიეკუთვნონ შემდეგ
კატეგორიებს:
 - მცირე - პირი, რომლის მიერ დარიცხული ან
შემცირებული გადასახადების თანხების ჯამი
ნაკლებია 100,000 ლარზე;
 - საშუალო - პირი, რომლის მიერ დარიცხული ან
შემცირებული გადასახადების თანხების ჯამი
შეადგენს 100,000 ლარს ან ნაკლებია 2,000,000 ლარზე;
 - მსხვილი - პირი, რომლის მიერ დარიცხული ან
შემცირებული გადასახადების თანხების ჯამი მეტია
ან ტოლია 2,000,000 ლარზე;
 - კატეგორიის განსაზღვრა ხორციელდება
ყოველთვიურად, კატეგორიის განსაზღვრის თვის
წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის მიხედვით;
- პირს განესაზღვრება მსხვილი გადასახადის
გადამხდელის კატეგორია (მიუხედავად იმისა, მის
მიერ დარიცხული ან შემცირებული გადასახადების
ჯამი უტოლდება/აღემატება თუ არა 2,000,000 ლარს),
თუ ახორციელებს შემდეგი საქმიანობებიდან ერთ-
ერთს:
 - „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“
საქართველოს კანონით გათვალისწინებული საბანკო
საქმიანობის ლიცენზიის მქონე პირის საქმიანობა;

*მსხვილი
გადასახადის
გადამხდელის კატეგორია*

- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სიცოცხლის დაზღვევის, დაზღვევის (არა სიცოცხლის) ან/და გადაზღვევის ლიცენზიის მქონე პირის საქმიანობა;
- ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლიცენზიის ან ნებართვის მქონე პირის საქმიანობა;
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კერძო მაუწყებლობის ან/და სათემო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე პირის საქმიანობა;
- „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამორინეს მოწყობის ნებართვის მქონე პირის მიერ სამორინეს მოწყობა;
- ნავთობის და გაზის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული კომპანიების საქმიანობა;

*ზედმეტად გადახდილი
გადასახადის თანხის
ავტომატური დაბრუნებისათვის
განკუთვნილი საგადასახადო
მოთხოვნის ფორმა*

- ცვლილების მიხედვით, ზედმეტად გადახდილი გადასახადის ავტომატური დაბრუნების მიზნებისათვის, განისაზღვრა გადასახადის გადამხდელის მოთხოვნის სპეციალური ფორმა.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2019 წლის 18 თებერვალი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება #18/04 “ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოსა ან/და ნებისმიერი ფინანსური სანქციის გამოთვლის წესის დამტკიცების თაობაზე”

2019 წლის 8 თებერვლიდან ამოქმედდა ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება N 18/04, რომელიც განსაზღვრავს ლიზინგის წლიური ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საკომისიოს, ფინანსური ხარჯის, პირგასამტეხლოსა ან/და ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქციის გამოთვლის წესს.

- ბრძანების თანახმად განისაზღვრა ლიზინგის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შემდეგი მნიშვნელოვანი ცნებები:
 - ლიზინგის საგნის ღირებულება - მიმწოდებელთან გაფორმებული ლიზინგის საგნის ნასყიდობის

*ლიზინგის
ხელშეკრულებასთან
დაკავშირებული
ტერმინები*

ღირებულება. ამასთან, ლიზინგის საგნის ღირებულებაში დღგ გაითვალისწინება იმ შემთხვევაში თუ ლიზინგის გამცემი ვერ ახდენს აღნიშნული გადასახადის ჩათვლას;

- ლიზინგის დაფინანსების თანხა - ლიზინგის საგნის ღირებულება ლიზინგის მიმღების მიერ ლიზინგის საგნის სარგებლობაში მიღებასთან დაკავშირებული კაპიტალიზირებადი დანახარჯების გათვალისწინებით;
- ლიზინგის დაფინანსების ნარჩენი თანხა - ლიზინგის დაფინანსების თანხის დარჩენილი ნაწილი მიმდინარე თარიღისთვის ლიზინგის მიმღების მხრიდან ლიზინგის გამცემის მიმართ განხორციელებული გადახდების შემდეგ;

ფინანსური ხარჯები

- ლიზინგის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოანგარიშებისას, ფინანსურ ხარჯს მათ შორის მიეკუთვნება დადებითი სხვაობა ლიზინგის საგნის ღირებულებასა და ამავე ქონების პირდაპირი ანგარიშსწორების ფასს შორის.

- ლიზინგის ხელშეკრულებით ნებისმიერი პირობის დარღვევის გამო დაკისრებული ნებისმიერი პირგასამტეხლო, ნებისმიერი ფორმის ფინანსური სანქცია არ უნდა აღემატებოდეს ლიზინგის დაფინანსების ნარჩენი თანხის 0.27 % თითოეული დღისთვის. დღიური პირგასამტეხლოს მიზნებისთვის ფინანსურ სანქციაში არ გაითვალისწინება:

დღიური პირგასამტეხლოს ოდენობა

- ლიზინგის ვადის გადაცილებისას (ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე) ერთჯერადად დაკისრებული პირგასამტეხლო არაუმეტეს 20 ლარის ოდენობით;

- ლიზინგის რეფინანსირებისას, ან ლიზინგის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის/ლიზინგის საგნის ვადაზე ადრე გამოსყიდვის შემთხვევაში წინმსწრებით დაფარვის საკომისიო.

- ლიზინგის ვადის გადაცილებისას ვადის გადაცილების სრულ აღმოფხვრამდე დაკისრებული სანქციების მაქსიმალური ჯამური ოდენობა ყოველი ვადის გადაცილებისას ჯამურად არ უნდა აღემატებოდეს ლიზინგის დაფინანსების ნარჩენი თანხის 1.5-მაგ ოდენობას. მაქსიმალურ ჯამურ ოდენობაში გაითვალისწინება:

ფინანსური სანქციების მაქსიმალური ჯამური ოდენობა

**წინმსწრებით დაფარვის
საკომისიო**

- ეფექტურ საპროცენტო განაკვეთში გათვალისწინებული ხარჯები;
 - ლიზინგის სარგებელი;
 - ნარჩენი ძირითადი თანხის 0,27%-იან ლიმიტში შემავალი ხარჯები;
 - 0,27%-იან ლიმიტის მიღმა გამოყენებული ერთჯერადი ჯარიმა;
 - წინმსწრების საკომისიო;
 - სხვა ნებისმიერი ფინანსური ხარჯი/საკომისიო/სანქცია;
- 1.5-მაგი ოდენობის გაანგარიშება მოხდება ლიზინგის ვადაგადაცილების დაწყების დღიდან და არ გაითვალისწინება ამ დღემდე დაკისრებული ნებისმიერი ფინანსური ხარჯი/საკომისიო/პირგასამტეხლო/სანქცია.
 - ამასთან, 1.5 მაგი ოდენობის გაანგარიშებისას, ლიზინგის დაფინანსების ნარჩენ თანხას წარმოადგენს ლიზინგის ვადის გადაცილების დაწყების დღეს არსებული ლიზინგის დაფინანსების ნარჩენი თანხა და ვადაგადაცილების სრულ აღმოფხვრამდე ლიზინგის დაფინანსების ნარჩენი თანხის ცვლილება არ გაითვალისწინება.
 - ლიზინგის რეფინანსირებისას ან ლიზინგის მიმღების ან/და მესამე პირის მიერ ლიზინგის ვადაზე ადრე შეწყვეტის ან ლიზინგის საგნის ვადაზე ადრე გამოსყიდვის შემთხვევაში წინმსწრებით დაფარვის საკომისიო არ უნდა აღემატებოდეს ლიზინგის დაფინანსების ნარჩენი თანხის 2 პროცენტს.

წყარო: საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2019 წლის 18 თებერვალი

საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

საქართველოს პარლამენტს პირველი მოსმენისთვის წარედგინა კანონპროექტი „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსში“ და „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის

კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად იდენტური ცვლილებები შედის აღნიშნულ ორ კოდექსში.

**მუნიციპალიტეტის იერსახის
დამახინჯება**

- მოსალოდნელი ცვლილების თანახმად, იმ შენობა-ნაგებობების შეკეთების (რემონტის), რეკონსტრუქციის, აღდგენის ან/და დემონტაჟის განუხორციელებლობა, რომელიც მდებარეობს საზოგადოებრივი სივრციდან ვიზუალური აღქმის არეალში და რომელიც ამახინჯებს მუნიციპალიტეტის იერსახეს ხდება პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

ჯარიმის ოდენობა

- ჯარიმის ოდენობა განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - მშენებლობის განხორციელებისას სპეციალური რეჟიმის ზონაში, ტყის ფონდისა და წყლის შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში, საკურორტო-სარეკრეაციო ზონებში და ქ. თბილისის ტერიტორიაზე - 5000 ლარი;
 - თვითმმართველობის ქალაში, გარდა წინა პუნქტში მითითებული ტერიტორიისა - 1000 ლარი;
 - მუნიციპალიტეტის დასახლებაში (ქალაქში) - 500 ლარი;
 - მუნიციპალიტეტის დასახლებაში (დაბაში ან სოფელში) – 200 ლარი;

წყარო: საქართველოს პარლამენტი, 2019 წლის 18 თებერვალი

ჩვენ მოხარული ვიქნებით მოგაწოდოთ დამატებითი ინფორმაცია თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს მითითებულ ცვლილებებს თქვენს საქმიანობაზე.

სერგი კობახიძე

დირექტორი, საგადასახადო და იურიდიული პრაქტიკა

E-mail: sergi.kobakhidze@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

ვანო გოგელია

იურიდიული მომსახურება

E-mail: vano.gogelia@pwc.com

ტელ: + 995 32 250 80 50

PwC საქართველო კლიენტებს სთავაზობს ინტეგრირებულ აუდიტორულ, საგადასახადო, იურიდიულ და საკონსულტაციო მომსახურებებს. PwC-ის ქსელი მსოფლიოს მასშტაბით შედგება 208,109 პროფესიონალისგან, რომლებიც დასაქმებული არიან 157 ქვეყნის 756 ოფისში.

PwC საქართველოს საგადასახადო მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საგადასახადო საკონსულტაციო მომსახურებებს, სატრანსფერო ფასწარმოქმნის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, საგადასახადო დავებში წარმომადგენლობას, საერთაშორისო დაბეგვრის საკითხებთან მიმართებით კონსულტაციებს, საგადასახადო სტრუქტურირებას და სხვ.

PwC საქართველო იურიდიული მომსახურების ფარგლებში კლიენტებს სთავაზობს საკორპორაციო, სახელშეკრულებო საკითხებთან დაკავშირებით სამართლებრივ დახმარებას, კომპანიათა რეორგანიზაციას, კონკურენციის სამართლის მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმებას, სასამართლოში წარმომადგენლობას, სამშენებლო, შრომის და სხვა სამართლებრივ მომსახურებებს. ჩვენ წარმოვადგენთ ყველაზე ფართო გეოგრაფიული დაფარვის მქონე იურიდიული მომსახურების ქსელს მსოფლიოში, 3,200 იურისტით 85-ზე მეტ ქვეყანაში.

ეს მასალა მომზადებულია მხოლოდ ზოგადი ინფორმაციის მიწოდების მიზნით და არ უნდა განიხილებოდეს პროფესიულ რეკომენდაციად. ამ მასალაში შეშავალი ინფორმაციაზე დაყრდნობა შესაბამისი პროფესიონალური კონსულტაციის გარეშე არ არის მიზანშეწონილი. ამ მასალით PwC არ იღებს არანაირ გარანტიას (გამოხატულს ან ნაგულისხმევს) ინფორმაციის სიზუსტესა თუ სისრულეზე და არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სახის შედეგებზე, გამოწვეული იქნება ეს თქვენი ან სხვა ვინმეს ქმედებით დაყრდნობა ამ ინფორმაციას და/ან მიიღოს გადაწყვეტილება შესაბამისი კონსულტაციების გარეშე.

© 2019 PwC. All rights reserved. PricewaterhouseCoopers Georgia LLC refers to the PwC network and/or one or more of its member firms, each of which is a separate legal entity. Please see www.pwc.com/structure for further details.